



www.cse.ge

საინფორმაციო ელექტრონული
ჟურნალი

დეკემბერი, 2011

წელი

✓ სოციალური მეწარმეობა საქართველოში

- ❖ ქართველი სოციალური მეწარმეების ვიზიტი ევროპაში
- ❖ ქართული სოციალური საწარმოების ახალი პროექტები
- ❖ კონკურსი "ინდივიდუალური კონსულტაციები სოციალური საწარმოებისთვის"

✓ საკანონმდებლო სიახლეები

- ❖ ორგანიზაციის მიერ მიღებული დივიდენდების დაბეგვრა

✓ სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო ამბები

- ❖ გლობალური სოციალური ბიზნესის სამიტი - 2011

✓ საინტერესო ამბები

- ❖ ჟურნალმა Forbes' მსოფლიოში 30 წამყვან სოციალურ მეწარმეთა სია გამოაქვეყნა
- ❖ ჰიუ ჯეკმანის სოციალური ბიზნესი Laughing Man, Coffee and Tea

სოციალური მეწარმეობა საქართველოში

➡ ქართველი სოციალური მეწარმეების ვიზიტი ევროპაში

2011 წლის შემოდგომაზე ევრაზიის თანამშრომლობის ფონდისა და ჩეხეთის ფანდრაიზინგის ცენტრის (Czech Fundraising Center -CFC) ერთობლივი პროექტის ფარგლებში მოეწყო

ორკვირიანი სასწავლო ტური ვიშეგრადის ოთხ ქვეყანაში (ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი, სლოვაკეთი და პოლონეთი). პროექტი, რომელიც მიმართულია იძულებით გადაადგილებული პირების სოციალურ ინტეგრაციაზე, და ამ თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდაზე სოციალური საწარმოს მოდელის დამკვიდრების გზით, დაფინანსებულია ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის მიერ.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილების გაზიარების საშუალება მიიქცა ქართულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს: ასოციაცია "ანიკა", "განათლება დემოკრატიისათვის", "რეგიონალური განვითარების ინსტიტუტი - შიდა ქართლი", "ქუთაისის განათლების და დასაქმების ცენტრი", კოალიცია "დევნილთა უფლებებისათვის", "კოდის სათემო განათლების ცენტრი", ფონდი "აფხაზინტერკონტი", "აფხაზეთის უსინათლოთა და ყრუმუნჯთა კავშირი ჰერა", საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი "აფხაზეთი".

ამ ორგანიზაციების წარმომადგენლები გაეცნენ ვიშეგრადის ქვეყნებში სოციალური საწარმოების სხვადასხვა მაგალითებს. ტურის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ მოესმინათ სოციალური საწარმოების საქმიანობასთან დაკავშირებული პრეზენტაციებისთვის, დაეთვალიერებინათ საწარმოები და დაესვათ კონკრეტული კითხვები ორგანიზაციების თანამშრომლებისათვის. ქართული დელეგაცია 24 ორგანიზაციას ეწვია, რომელთაც სხვადასხვა სახის დატვირთვა ქონდათ, კერძოდ, კაფეები, სადაც დასაქმებული იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები; ბიო-მეურნეობა; ფერმა, სადაც განთავსებულია აუტიზმით დაავადებულთათვის თავშესაფარი და დღის ცენტრი. ზოგიერთ საწარმოში 100-მდე ადამიანი იყო დასაქმებული, ზოგიერთში კი მხოლოდ 4.

ტურის დროს შეძენილი ცოდნა და მიღებული ინფორმაცია, აგრეთვე ჩეხი ექსპერტებისაგან მიღებული დამატებითი კონსულტაციები საშუალებას მისცემს სოციალური საწარმოების ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს უფრო ეფექტიანად დაგეგმონ თავიანთი საქმიანობა და პრაქტიკაში გამოიყენონ აღმოსავლეთ ევროპის სოციალური საწარმოების გამოცდილება.

სასწავლო ტურის მონაწილეებმა გაგვიზიარეს შთაბეჭდილებები მათთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე:



"სასწავლო ტურმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ სწორად წარმართული სოციალური მეწარმეობა ერთის მხრივ საკმაოდ მძლავრი ინსტრუმენტია არასამთავრობო ორგანიზაციების შიდა ორგანიზაციული განვითარებისათვის, მათი მდგრადობისა და სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერებისათვის, ხოლო მეორეს მხრივ საკუთარი შემოსავლების ზრდისათვის და შესაბამისად თავიანთი უმთავრესი მისიის უფრო ეფექტურად და მასშტაბურად განხორციელებისათვის."

"სასწავლო ტურის დროს განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო სახელმწიფოს ძალიან ქმედითი და სოლიდური ფინანსური და სხვა სახის დახმარება სოციალური მეწარმეობისადმი, სხვადასხვა სფეროში, მათ შორის სოფლის მეურნეობაში. სახელმწიფოს ასეთი



პოლიტიკა განაპირობა არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივმა ბრძოლამ თავისი უფლებებისათვის, რამაც შესაბამისი შედეგი გამოიღო. საქართველოშიც ამ მიმართულებით გარკვეული პოზიტიური ძვრები, ბოლო დროს შეინიშნება. საქართველოს ყველა NGO-მ თავის სტრატეგიაში აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ეს მიმართულება. ეს მით უფრო აქტუალური ხდება, თუ გავითვალისწინებთ ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილებას, კერძოდ იმ გარემოებას თუ როგორ შეიცვალა წლიდან წლამდე მათი შემოსავლების სტრუქტურა საერთაშორისო გრანტების დიდი წილი მნიშვნელოვნად შემცირდა და მისი ადგილი სახელმწიფოს მხრიდან დახმარებამ, სუბსიდიებმა და აგრეთვე საკუთარმა შემოსავლებმა დაიკავა.”

დავით გუჩუა საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი "აფხაზეთი"



“გაზიარებული ინფორმაცია და გამოცდილება, მეტად სასარგებლოა და საინტერესო კონკრეტულად ჩვენი ორგანიზაციისთვის, რადგან ორგანიზაციის საქმიანობა უშუალოდ ორიენტირებულია იძულებით გადაადგილებული და სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების, მათი საზოგადოებრივი ინტეგრაციისა და ხელშეწყობისკენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით. ამ მხრივ კი, სოციალური საწარმო საუკეთესო შესაძლებლობად გვესახება მოსახლეობის ამ კატეგორიის ეკონომიკური გაძლიერებისა და კეთილდღეობის მიღწევის, ზოგადად, სიღარიბის დაძლევის კუთხით. **ვიზიტმა თვალნათლივ დაგვანახა არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ მორალური სიკეთეებიც - რა დატვირთვასაც ხშირად ატარებს თავისი ფუნქციით სოციალური საწარმო, სადაც უმეტესად დასაქმებულნი არიან უშუალოდ ადამიანები, საზოგადოების მოწყვლადი ფენის წარმომადგენლები.**”

მანანა
ქვაჩახია
"განათლება დემოკრატიისათვის"

→ ქართული სოციალური საწარმოების ახალი პროექტები

2011 წლის სექტემბერში საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების

ცენტრის მიერ გამოცხადდა საგრანტო კონკურსი *“სოციალური საწარმოების ფინანსური მხარდაჭერა”*. კონკურსში 51-მა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ წარმოადგინა 53 პროექტი. წარმოდგენილი პროექტებიდან დაფინანსდა სამი.

მოკლედ გაგაცნობთ გამარჯვებულ ორგანიზაციებს და მათ პროექტებს.

✓ *ბავშვი და გარემო - პროექტით “ავტოსამრეცხაო ჯანსღი გარემო”*

საზოგადოებრივი ორგანიზაცია “ბავშვი და გარემო” მიზნად ისახავს მრავალმხრივი დახმარება გაუწიოს უკიდურესად ხელმოკლე, ობოლ, უნარშეზღუდულ, ლტოლვილ და ქუჩის ბავშვებს, ხელი შეუწყოს მათი განათლების დონის ამაღლებას, მათ შემოქმედებით საქმიანობას და ინტეგრაციას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ორგანიზაციამ მიუსაფარი მოსახლეობის ფინანსური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების, ქუჩისა და რისკის ჯგუფის მოზარდების და მათი ოჯახების სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფის მიზნით 2009 წელს დაარსა შპს “ჯანსაღი გარემო”, ხოლო 2011 წელს ამუშავდა მცირე საწარმო – ავტოსამრეცხაო (ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის # 8). ამჟამად საწარმოში დასაქმებულია სოციალურად დაუცველი 2 მოზარდი, ერთი არასრულწლოვანი ნახევარ განაკვეთზე, ხოლო ერთი მოზრდილი რისკის ჯგუფის ბავშვის ოჯახიდან.

სოციალურმა საწარმომ პირველ წარმატებებს მიაღწია, და დღეს ავტო-სამრეცხაოს მომსახურებით სარგებლობს არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა, არამედ ჰყავს უკვე კორპორატიული კლიენტებიც. მაგრამ ნათელი გახდა, რომ სტაბილურობის შენარჩუნებისა და საგრძნობი სოციალური და ეკონომიკური შედეგების მისაღწევად საჭიროა მისი როგორც მომსახურების პროფილის გაფართოება, ისე მეტი ბენეფიციარის დასაქმება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტი, რომლის განხორციელების შედეგადაც ავტოსამრეცხაო მომხმარებელს შესთავაზებს დამატებით მომსახურებას, და დაასაქმებს კიდევ 17-18 წლის ქუჩისა და რისკის ჯგუფის კიდევ 2 მოზარდს. დასაქმებულ ადამიანებს საშუალება მიეცემათ, ერთი მხრივ, გაიუმჯობესონ ფინანსური მდგომარეობა და, მეორე მხრივ, აიმაღლონ სამოქალაქო ცნობიერება, გახდნენ უფრო დამოუკიდებელი. ორგანიზაციისათვის კი სოციალური საწარმოდან შემოსული დამატებითი შემოსავალი ბენეფიციარების დასაქმების ალტერნატიული გზების ძიების შესაძლებლობას შექმნის.

✓ *სათემო ორგანიზაცია “ლელო პირველი” - პროექტით “სოციალური საწარმო ლელის განვითარებისათვის”*

ამ ორგანიზაციის მიზანია კახეთის მოსახლეობის, კერძოდ, ქალებისა და ახალგაზრდების არაფორმალური განათლებისა და მათი შესაძლებლობების რეალიზაციის ხელშეწყობით გაიზარდოს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხარისხი და აიმაღლოს საზოგადოების სამოქალაქო ცნობიერება. ორგანიზაცია ხუთი წელია ზრუნავს თემში არსებული პრობლემების მოგვარებაზე და დასახლების მოსახლეობის უმეტესობა არის ორგანიზაციის პროექტების მოსარგებლე და მონაწილე.

2011 წელს “მშვიდობის კორპუსი საქართველოს” დაფინანსებით ორგანიზაციამ ადგილობრივი მოსახლეობისათვის ჩამოაყალიბა სასწავლო კურსები მეფუტკრეობის შესწავლის მიზნით, რადგან ადგილობრივი მოსახლეობისათვის ეს იყო აქტუალური საკითხი. პროექტის ფარგლებში მათ შეიძინეს რამდენიმე ოჯახი

ფუტკარი და მოწვეული ექსპერტის დახმარებით სოფელში მცხოვრები მეფუტკრეებისთვის და სოციალურად დაუცველი ოჯახების წარმომადგენელი მოხალისე ახალგაზრდებისათვის ჩატარდა სემინარები და ტრენინგები ფუტკრის მოვლისა და გამრავლების საკითხებზე.

დაგროვილმა გამოცდილებამ, ახალგაზრდების დაინტერესებამ და მეფუტკრეობის წარმატებულად გაძლოდამ ორგანიზაციას სამეწარმეო საქმიანობის წამოწყების მოტივაცია და სტიმული მისცა. წარმოდგენილი პროექტის დახმარებით ორგანიზაცია შეიძენს დამატებით სკებს და გაზრდის თაფლის პროდუქციას.

სამეწარმეო საქმიანობისგან მიღებული შემოსავალი მოხმარდება ორგანიზაციის სოციალურ მიზნებს, როგორცაა მოსახლეობის გადამზადება და სხვადასხვა ტექნიკური უნარ-ჩვევების დამკვიდრება, თემში სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისთვის.

✓ **ლეიკოზით დაავადებულ ბავშვთა დახმარების საერთაშორისო ასოციაცია - პროექტით "მშობელთა სახლის" მდგრადი ფუნქციონირება**

ორგანიზაციის მიზანია ონკო-ჰემატოლოგიური დაავადებების მკურნალობის თანამედროვე პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა; პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალურ პრობლემებზე ზრუნვა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, მათი საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა და უფლებების დაცვა. ორგანიზაციის ბენეფიციარებისთვის ასოციაციამ ორგანიზაცია "CORADID"-ის ფინანსური მხარდაჭერით და საქველმოქმედო ორგანიზაცია "საქართველოს ამერიკელი მეგობრების" დახმარებით მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ყოველწლიურად 30-40 ლეიკემიით დაავადებული ბავშვი საქართველოს ყველა რეგიონიდან გადის მკურნალობის კურსს, დააარსა სასტუმროს ტიპის - "მშობელთა სახლი". სახლის არსებობა ოჯახის წევრებს და ბავშვებს მუდმივი კონტაქტის შესაძლებლობას უქმნის, ამასთანავე, ეს არის მნიშვნელოვანი ფინანსური მხარდაჭერა სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის.

"მშობელთა სახლის" მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად და დაფინანსების ალტერნატიული გზის მოძიების მიზნით სახლის ბაზაზე ამუშავდება კაფე-სამზარეულო. წარმოებული პროდუქციის მომხმარებელი იქნებიან როგორც ამ სახლის ბენეფიციარები, ისე გარშემო არსებული მრავალპროფილიანი სამედიცინო დაწესებულებების პერსონალი და მათი პაციენტები.

კონკურსი "ინდივიდუალური კონსულტაციები სოციალური საწარმოებისათვის"

2011 წლიდან სოციალური მეწარმეობის მიმართულებით გამოცდილების მქონე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შესაძლებლობა მიეცათ მიეღოთ საკონსულტაციო მომსახურება სოციალური მეწარმეობის შემდგომი განვითარებისთვის.

სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი დაინტერესებულ სოციალურ საწარმოებს სთავაზობს ორგანიზაციის ინდივიდუალური საჭიროებაზე მორგებული

კონსულტაციებს სოციალური საწარმოს დაგეგმვის, ორგანიზების, მარკეტინგულ, ფინანსურ და საგადასახადო საკითხებზე.

საკონსულტაციო მომსახურებისთვის ორგანიზაციათა შერჩევა წარმოებს განაცხადების საფუძველზე. განაცხადების მიღების პირველი რაუნდი გაიმართა ოქტომბერში. შერჩევისას უპირატესობა მიენიჭათ ორგანიზაციებს, რომელთაც მკაფიოდ ჰქონდათ აღწერილი საწარმოს სოციალური სარგებელი; ორგანიზაციის პოტენციალი გააუმჯობესოს და განავითაროს საწარმო; ნათლად იყო განსაზღვრული საწარმოს საქმიანობაში არსებული გამოწვევები და საკითხები, რაზეც ორგანიზაციას სურდა მიეღო კონსულტაციები.

2011 წელს საკონსულტაციო მომსახურება გაეწევა შემდეგ შერჩეულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს: "განათლება დემოკრატიისათვის", "საერთაშორისო განათლების და განვითარების აკადემია", "ზავში და გარემო."

სოციალური მეწარმეობის ცენტრი 2012 წელს დაინტერესებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციების კვლავაც შესთავაზებს საკონსულტაციო მომსახურებას განცხადების მიღება განახლდება 15 იანვრის შემდეგ

საკანონმდებლო სიახლეები

ორგანიზაციის მიერ მიღებული დივიდენდების დაბეგვრა

2011 წლის ნოემბერში საქართველოს პარლამენტმა მე-3 მოსმენით განიხილა და მიიღო საგადასახადო კოდექსის ცვლილებების პროექტი. კანონპროექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დივიდენდების დაბეგვრის საკითხი. აღნიშნული ცვლილების ლობირება განახორციელა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა, ხოლო კონსალტინგი საგადასახადო სისტემის და პროცედურების ტექნიკურ საკითხებზე განახორციელა პოლიტიკისა და მართვის საკონსულტაციო ჯგუფმა (PMCG).

საგადასახადო კოდექსის მოქმედი რედაქციისა და კოდექსის პროექტის შესაბამისად, ორგანიზაციის (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, აგრეთვე საზოგადოებრივი ან რელიგიური ორგანიზაციების (გაერთიანებები), საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისი, სამთავრობათაშორისო, დიპლომატიური) ორგანიზაციების მიერ მიღებული დივიდენდი იხვერება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით, მაშინ როცა საქართველოს საწარმოს მიერ მეორე საწარმოდან მიღებული დივიდენდი საერთოდ არ იხვერება. უფრო მეტიც, ყველა სხვა გადასახადის გადამხდელის მიერ მიღებულ დივიდენდებზე კოდექსით განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში (2013 წლის 1 იანვრამდე), დადგენილია 5%, შემდეგ 3%-იანი ხოლო 2014 წლიდან 0%-იანი განაკვეთი.

საკითხის ასეთი რეგულირება დისკრიმინაციულია ორგანიზაციების მიმართ. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა ლობირება გაუწია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დივიდენდების დაბეგვრის საკითხს.

კანონპროექტის საბოლოო ვერსიის თანახმად, ორგანიზაციები გაუთანაბრდა გადასახადის სხვა გადამხდელს (ფიზიკურ პირები, უცხოური საწარმოები) და მათ

მიერ მიღებული დივიდენდების დაბეგვრაც იგივე რეჟიმში მოექცა, კერძოდ “რეზიდენტი საწარმოს მიერ ფიზიკური პირისთვის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის ან არარეზიდენტი საწარმოსთვის გადახდილი დივიდენდები (2011 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 იანვრამდე იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 5-პროცენტის განაკვეთით, ხოლო 2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე - 3-პროცენტის განაკვეთით.”

ამასთანავე, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ კანონპროექტის თანახმად, 2014 წლიდან “რეზიდენტი საწარმოს მიერ ფიზიკური პირისთვის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის ან არარეზიდენტი საწარმოსთვის გადახდილი დივიდენდები იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 0-პროცენტის განაკვეთით.”

სოციალური მეწარმეობის საერთაშორისო ამბები



გლობალური სოციალური ბიზნესის სამიტი - 2011

გლობალური სოციალური ბიზნესის სამიტი 2011 წლის 10-11 ნოემბერს გაიმართა ვენაში (ავსტრია) და მას 56 ქვეყნის 500-ზე მეტი წარმომადგენელი ესწრებოდა.

სამიტი ემსახურება ძლიერი საზოგადოების შექმნას სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობით ეკონომიკის ყველა სფეროში. ყოველწლიურად სამიტზე იკრიბებიან სოციალური ბიზნესის წარმომადგენლები როგორც კორპორაციებიდან, ისე სამოქალაქო საზოგადოების და აკადემიური სექტორებიდან და მთავრობებიდან. სამიტი შესაძლებლობას აძლევს მონაწილეებს გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება, დაამყარონ კონტაქტები, რომ დაინახონ თუ რამდენად უსაზღვროა სოციალური ბიზნესის შესაძლებლობები.

გლობალური სოციალური ბიზნესის სამიტი გახლავთ ნობელის პრემიის ლაურეატის, გამინ ბანკის დამფუძნებლის, პროფ. მუჰამედ იუნუსის და ჰანს რეივის (გერმანია) ინიციატივა და პირველი სამიტი 2009 წელს ჩატარდა. (2006 წელს მუჰამედ იუნუსმა და გრემინის ბანკმა ერთად მიიღეს ნობელის პრემია მშვიდობის დარგში, მათი მიღწევებისთვის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სფეროში).

2011 წლის სამიტს დაესწრნენ ისეთი მნიშვნელოვანი პირები როგორებიც არიან: თომას შთელცერი - გენერალური მდივნის ასისტენტი პოლიტიკის კოორდინირებასა და შიდა სააგენტოს საქმეებში; ფერნანდო პრიმენტალი - ბრაზილიის განვითარების მინისტრი; ლაცლო ანდორი - ევროკავშირის კომისარი; რონ გარანი - NASA-ს ასტრონავტი და ნარენდრა ჯედჰევი - პრემიერ მინისტრის მრჩეველი ინდოეთში.

ბიზნეს სამყაროდან სამიტზე წარმოდგენილნი იყვნენ ისეთი დიდი კომპანიები, როგორცაა: Adidas Group, ArcelorMittal, BASF, Continental, Credit Agricole, Deutsche Telekom, E.ON, Fast Retailing, GE Healthcare, Groupe Danone, Intel, Hindustan Construction Company,

Humana, Mainova, Otto Group, Pfizer, Procter & Gamble, SAP, Unicredit Group, UNIQLO, Veolia Water, Volkswagen;

აკადემიური სექტორიდან კი - Sian Institute of Technology, Bocconi University, California State University Channel Island, EBS University, Glasgow Caledonian University, HEC Paris, Harvard Business School, IESE Barcelona, Istituto Europe di Design, Kwansai Gakuin University, Kyushu University, Leuphana University, National University of Singapore, University of Florence, University of Glasgow, Zeppelin University და სხვ.



მუჰამედ იუნუსი და ეკა დათუაშვილი

საქართველოდან სამიტის მუშაობას დაესწრო სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის წარმომადგენელი - ეკა დათუაშვილი.

2015 წლისთვის სიდარობის შემცირებისა და სოციალურ მეწარმეობაზე მსოფლიოში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, მწერალი პაოლო კოელიო და მსახიობი ჰიუ ჯეკმანი გახდნენ "ელჩები სოციალურ ბიზნესში."
(დაწვრილებითი ინფორმაცია სამიტის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <http://gsbs2011.com/>).

საინტერესო ამბები

➡️ **ჟურნალმა Forbes' მსოფლიოში 30 წამყვან სოციალურ მეწარმეთა სია გამოაქვეყნა**

ჟურნალმა Forbes' არსებობის 94-წლიან ისტორიაში, პირველად გამოაქვეყნა მსოფლიოს წამყვან სოციალურ მეწარმეთა სია. ამ სიაში წარმოდგენილია 30 წამყვანი სოციალური მეწარმე ყველა წამყვანი სექტორიდან იქნება ეს ჯანდაცვა, განათლება, ფინანსები თუ სხვა, რომლებიც ბიზნესს მიდგომებს იყენებენ სოციალური პრობლემების გადასაჭრელად.

წარმოგიდგენთ Forbes'-ის მიერ გამოქვეყნებულ წამყვან სოციალურ მეწარმეთაგან ზოგიერთს.

- ✓ **ალვარო როდრიგეს არეგი**, მონტერეი, მექსიკა - IGNIA-ს (impact venture capital fund) დამფუძნებელი; ფონდი დებს ინვესტიციებს ისეთ სოციალურ საწარმოებში, რომლებიც მილიონობით მექსიკელს ეხმარება სხვადასხვა სოციალური პრობლემების გადაჭრაში, როგორცაა საცხოვრებლის შეძენა, ჯანმრთელობის დაცვა, სუფთა წყლის ხელმისაწვდომობა და სხვ.
- ✓ **ტერი ლუდვიგ**, კოლუმბია, აშშ - Enterprise Community Partners. 30 წლის განმავლობაში საწარმო ყოველმხრივ ზრუნავდა ადამიანების ბინებით

უზრუნველყოფისათვის, ასევე ამ ბიზნის კეთილმოწყობასა და სხვადასხვა სერვისების ხელმისაწვდომობაზე. ღარიბ მოსახლეობაზე კომპანიამ გასცა \$1.6 მილიარდის ოდენობის სესხი; ხოლო მთლიანობაში 280,000 ოჯახისთვის ააშენეს სახლები. ამ ჯგუფს აფინანსებდნენ როგორც ინვესტორები, ისე კერძო დონორები და მთავრობა.

- ✓ **ენდრიუ იუნი**, ბუნგომა, კენია - One Acre Fund-ის დამფუძნებელი. ფონდი ზრუნავს აღმოსავლეთ აფრიკის ფერმერების სოფლის მეურნეობის სფეროში ცოდნის ამაღლებაზე. მათ მიერ შექმნილ 200-კაციან ფერმერთა ჯგუფებს ის სთავაზობს კომერციულ მარცვლეულს მისაღებ ფასად. ფონდი ასევე აზღვევს მის თანამშრომელ ფერმერებს და აცხადებს, რომ მათი ფერმერები აორმაგებენ მოგებას ყოველ სეზონზე.

(დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე:

<http://www.forbes.com/sites/helencoster/2011/11/30/forbes-list-of-the-top-30-social-entrepreneurs/>)

➡ **ჰიუ ჯექმანის სოციალური ბიზნესი Laughing Man, Coffee and Tea** (*მომლიმარი ადამიანები, ყავა და ჩაი*)

სოციალური ბიზნესის იდეა ჰიუ ჯექმანს ეთიოპიაში ვიზიტისას გაუჩნდა, როდესაც ყავის ხეებს რგავდა დუკალესთან, ადგილობრივ მეგობარ ფერმერთან ერთად. "მე დავინახე, რომ ერთი ადამიანის აქტიური ძალისხმევით მთელი თემის გარდაქმნა შესაძლებელი. ... მე შევპირდი დუკალეს დახმარებას და "მომლიმარი ადამიანი" შექმნილია ამ დანაპირების შესასრულებლად."

კომპანიის მიერ ინიცირებული პირველი სოციალური საწარმო "მომლიმარი ადამიანები, ყავა და ჩაი" ამ წლის 21 ოქტომბერს გაიხსნა და ის მომხმარებელს სთავაზობს ეთიოპიის, პერუს, გვატემალას და პაპუა ახალი გვინეას ფერმერებში მოყვანილ პროდუქციას.

სოციალური ბიზნესიდან მიღებული მთელი მოგება საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდება. ამ მხრივ, კომპანიის პრიორიტეტი განათლების სფეროა.



- ❖ თუ თქვენ აღარ გასურთ მიიღოთ სოციალური მეწარმეობის ელექტრონული ჟურნალის შემდეგი გამოცემები, გამოაგზავნეთ ტექსტი - "გამოწერის გაუქმება" შემდეგ მისამართზე: info@cse.ge

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით >>>



ყველა საავტორო უფლება დაცულია და ეკუთვნის "საქართველოს სტრატეგიული კვლევების და



ცენტრს”

“ღია საზოგადოება - საქართველო”



”ეკლესიის განვითა